საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/5647
08/06/2020

5647-2-03-2-202006080951

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი კაპანაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2020 წლის 22 მაისის №6373-2 მომართვა, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ მისაქციელში, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ3-ის მიმდებარედ, ს/გზის ღერძიდან მარჯვენა მხარეს 15 მეტრის დაშორებით არსებული 196 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ. N72.03.22.507) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხს, შემდგომში კომერციული დანიშნულების მიზნით, მასზედ მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის განსათავსებლად.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი მოხდეს მოცემული 196 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ. N72.03.22.507) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ,,საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 2 ფურცელი.

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge